საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 02 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №264/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 19 ოქტომბერს №-- საჩივრის საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 12 თებერვლის დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- არ უნდა მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგან მხარეებს სასამართლო უწყებით არ ეცნობათ საქმის განმხილველი მოსამართლის შეცვლის თაობაზე. თავდაპირველად, საქმეს განიხილავდა მოსამართლე -- --, რომელსაც სასამართლო უწყების თანახმად, 2017 წლის 27 ოქტომბერს უნდა ჩაეტარებინა სასამართლო სხდომა. როდესაც მითითებულ დროს მხარე მივიდა სასამართლოში, მას დარბაზში დახვდა სხვა მოსამართლე. მოპასუხე ვერ გაერკვა შექმნილ ვითარებაში, იფიქრა, რომ სხდომა ამჯერადაც გადაიდო და წამოვიდა სასამართლოდან (საჩივრის ავტორის განცხადებით, საქმე განხილვაშია 2013 წლიდან და ასეთ ფაქტს არაერთხელ ჰქონდა ადგილი).

გარდა ამისა, მოპასუხეს სასამართლოში შეტანილი ჰქონდა განცხადება, რომლითაც ითხოვდა აღნიშნული სასამართლო სხდომის გადადებას ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო. მოსამართლე -- -- არ გაითვალისწინა არც ეს შუამდგომლობა, არც მხარის საპროცესო ნორმების დარღვევით ინფორმირება და საქმეზე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ასევე აღსანიშნავია, რომ მოსამართლემ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო მოსამზადებელ სხდომაზე, რაც კანონით დაუშვებელია.

-- -- მიანიშნებს იმაზეც, რომ დარღვეულია საქმის განხილვის კანონით გათვალისწინებული ორ თვიანი ვადა (პირველი ინსტანციის საქმეზე).

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2013 წლის 23 ოქტომბერს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს მოპასუხის, -- -- მიმართ და მოითხოვა, მისთვის ხელშეკრულების დარღვევით წარმოშობილი ფულადი ვალდებულების დაკისრება (საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --). 2013 წლის 31 ოქტომბერს მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი.

2013 წლის 07 ნოემბრის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2013 წლის 12 დეკემბერს.

2013 წლის 06 დეკემბერს -- -- სასამართლოს მიმართა შეგებებული სარჩელით და მოითხოვა, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოპასუხისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება. 2013 წლის 20 დეკემბერს -- -- სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი შეგებებულ სარჩელზე.

საქმეზე პირველი მოსამზადებელი სხდომა გაიმართა 2014 წლის 18 თებერვალს. -- -- შუამდგომლობის საფუძველზე საქმის განხილვა გადაიდო 2014 წლის 03 აპრილს. შემდეგი მოსამზადებელი სხდომა გაიმართა 2014 წლის 15 მაისს. მხარეებმა დააყენეს რამდენიმე შუამდგომლობა, რომელთა შესახებაც მოსამართლე -- -- მიიღო შესაბამისი საოქმო განჩინებები. მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე საქმის განხილვა გადაიდო 2014 წლის 30 სექტემბერს. 2014 წლის 30 სექტემბერს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ითხოვა საქმის განხილვის გადადება. 2014 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე დაკმაყოფილდა მხარის შუამდგომლობა და საქმის განხილვა გადაიდო 2014 წლის 09 დეკემბერს. 2015 წლის 26 მარტის სასამართლოს სხდომაზე, -- -- შუამდგომლობით, საქმის განხილვა გადაიდო სხვა დროისთვის.

2015 წლის 30 სექტემბრიდან 2016 წლის 05 იანვრამდე საქმეს განიხილავდა მოსამართლე -- --. 2016 წლის 05 იანვარს მოსამართლე -- -- მოხსენებითი ბარათით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს, -- -- და გადატვირთულობის გამო, ითხოვა საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა. საქმე განსახილველად ისევ მოსამართლე -- -- გადაეცა. 2016 წლის 22 აგვისტოდან 2016 წლის 14 დეკემბრამდე საქმეს განიხილავდა მოსამართლე -- --; 2016 წლის 19 დეკემბრიდან 2017 წლის 20 აპრილამდე საქმეს განიხილავდა მოსამართლე -- --; 2017 წლის 25 აპრილიდან 2017 წლის 27 სექტემბრამდე საქმეს განიხილავდა მოსამართლე -- --, ხოლო 2017 წლის 03 ოქტომბრიდან 2017 წლის 27 ოქტომბრამდე საქმის განმხილველი მოსამართლე იყო ისევ -- --.

2017 წლის 14 აგვისტოს -- -- გაეგზავნა სასამართლო უწყება, რომლითაც ეცნობა, რომ სასამართლოს შემდეგი სხდომა ჩატარდებოდა 2017 წლის 27 ოქტომბერს (უწყება მხარეს ჩაბარდა 2017 წლის 16 აგვისტოს). 2017 წლის 25 სექტემბერს -- -- განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და ითხოვა საქმის მასალების ასლების მისთვის გადაცემა.

2017 წლის 27 სექტემბერს -- -- განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და აცნობა, რომ 2017 წლის 26 სექტემბერს იმყოფებოდა -- საქალაქო სასამართლოში, სადაც გახდა ცუდად და იძულებული შეიქნა გამოეძახებინა სასწრაფო სამედიცინო დახმარება. განცხადებას დართული ჰქონდა სასწრაფო დახმარების მიერ შედგენილი პაციენტის სამედიცინო ბარათი (განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ გასინჯვისას მას ჰქონდა მაღალი წნევა და მომატებული ჰქონდა სისხლში შაქრის შემცველობა). შესაბამისად, მხარის განცხადებით, ის ვერ დაესწრებოდა 2017 წლის 27 ოქტომბრის სხდომას.

2017 წლის 10 ოქტომბერს (ამ დროს საქმეს განიხილავდა მოსამართლე -- --) -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს (განცხადება დაწერილია მოსამართლე -- -- სახელზე) და ითხოვა, -- -- მოწმედ მოწვევა.

2017 წლის 27 ოქტომბერს (საქმის განმხილველი მოსამართლე ამ დროისთვის იყო მოსამართლე -- --) გაიმართა მოსამზადებელი სხდომა, რომელზეც არ გამოცხადდა -- --. სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. მოსამართლე -- -- დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა და საქმეზე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა მოსარჩელის, -- -- სარჩელი, ხოლო შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს, -- -- უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

2017 წლის 01 დეკემბერს -- -- განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და ითხოვა 2017 წლის 27 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარება. მხარეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2017 წლის 05 დეკემბერს.

2017 წლის 11 დეკემბერს -- -- გაასაჩივრა 2017 წლის 27 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი გაუქმება მოითხოვა. 2017 წლის 13 დეკემბრის განჩინებით მხარის საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და საქმის განხილვა დაინიშნა 2017 წლის 26 დეკემბერს. 2017 წლის 14 დეკემბერს მხარეებს ეცნობათ 2017 წლის 26 დეკემბრის სხდომის შესახებ.

2017 წლის 26 დეკემბრის განჩინებით -- -- საჩივარი -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება 2018 წლის 22 იანვარს სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- --.

2.2. სააპელაციო სასამართლოში -- -- სააპელაციო საჩივარი 2018 წლის 30 იანვარს განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2018 წლის 08 თებერვლის განჩინებით აღნიშნული საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო 2018 წლის 29 ივნისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. 2018 წლის 29 ივნისის განჩინება -- -- გაასაჩივრა საკასაციო სასამართლოში.

2.3. 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- განსახილველად ჰქონდა 708 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 370 საქმის განხილვა (52.25%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 19 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 - მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მოსამართლის მიერ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთ უზრუნველყოფილი უფლებების განხორციელების კუთხით საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამოქალაქო საქმის განხილვის ვადებს მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია. ამას ადასტურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1/531 გადაწყვეტილებაში მოყვანილი მსჯელობა - „ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესშიც. დრო სამართლიანი სასამართლოს უფლებას გასდევს მთლიანად უფლებით სარგებლობის განმავლობაში. ხშირ შემთხვევაში, ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა თავიდანვე გარკვეული დროით არის პირობადებული – ამა თუ იმ უფლების, ინტერესის დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვა უფლების დარღვევიდან გარკვეული ვადით არის შეზღუდული (მაგალითად, საარჩევნო უფლების დაცვისას). ასევე კანონმდებლობა ვადებით ზღუდავს სამართლიანი სასამართლოს უფლების ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტების გამოყენებას, როგორებიცაა – სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების უფლება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც განსაზღვრავს სასამართლოში საქმეთა განხილვის წესს და მათ შორის ვადებს, რომლის განმავლობაშიც მხარემ უნდა შეასრულოს მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ამ მოქმედების მოგვიანებით შესრულების უფლებას.“

იმისათვის, რომ წინასწარი მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები სათანადოდ შეფასდეს და დადგინდეს, რამდენად შეიცავს მოსამართლის ქმედება შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, რა შემთხვევაში ჩაითვლება მოსამართლის მიერ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა „არასაპატიოდ“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის მეორე წინადადება, სადაც კანონმდებელი პირდაპირ ადგენს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ობიექტურ გარემოებებს. ამ ნორმის თანახმად, „...ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ შეძლო.“ სხვა შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოსამართლის ბრალეულ ქმედებას მოჰყვა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა და ამ დარღვევამ არსებითად შელახა მხარეების კონსტიტუციური უფლებები, მიჩნეულ შეიძლება იქნას, რომ სახეზეა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. დისციპლინური გადაცდომის დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს ასევე იმას, თუ რამდენად დააზიანა მოსამართლის ქმედებამ სასამართლოს ან/და საჯარო ინტერესები და რამდენად შეეზღუდა მხარეს ზემდგომი ინსტანციისათვის მიმართვის შესაძლებლობა.

როდესაც საჩივარი ეხება საქმის განხილვის ვადის დარღვევას, აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria, §50; Bock v. Germany, §35).

საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები დარღვეული „არასაპატიოდ“ („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის მეორე წინადადებით გათვალისწინებული ობიექტური გარემოებების ჭრილში) უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის

განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადის გონივრულობაუნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით, სასამართლოს აკისრია ვალდებულება შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები ეფექტურად და მიუკერძოებლად. სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულად განხორციელებაში და იმავდროულად პატივი უნდა სცეს მხარეების უფლებებს. მხარეებს უფლება აქვთ მათი სარჩელი გონივრულ ვადაში იყოს განხილული სამართლიანი სასამართლოს მიერ. მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტიც არის საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა.

მოსამართლე -- -- საქმეს განიხილავდა 2016 წლის 19 დეკემბრიდან 2017 წლის 20 აპრილამდე და 2017 წლის 03 ოქტომბრიდან 2017 წლის 27 ოქტომბრამდე (დაახლოებით 05 თვის განმავლობაში). მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად სამის განხილვის საერთო ვადა არის 02 თვე, თუმცა, განსაკუთრებით რთული საქმეების შემთხვევაში საქმის განხილვის 02 თვიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს 05 თვემდე. შესაბამისად, მოსამართლე -- -- მხრიდან საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას ადგილი არ ჰქონია (აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოსამართლე -- -- საქმე გადაეცა უკვე გაჭიანურებულ მდგომარეობაში და მან, ჩატარებული საპროცესო მოქმედებებით, ყველანაირად შეუწყო ხელი საქმის განხილვის დროულად დასრულებას).

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინა მოყვანილი არგუმენტები, ასევე მოსამართლის დატვირთვა და აღნიშნულის გათვალისწინებით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №264/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი